საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

აგვისტო-დეკემბერი
2022

ადვოკატთა ასოციაციამ ბიზნეს დავების განხილვის გერმანული მოდელი წარმოადგინა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ და გერმანიის ადვოკატთა ფედერალურმა პალატამ (BRAK) საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მხარდაჭერით კონფერენცია ჩაატარა, სადაც ბიზნეს დავების განხილვის გერმანული მოდელი და მისი ქართულ სამართლებრივ სივრცეში ინტეგრირების პერსპექტივა განიხილეს.

განხილვაში საკანონმდებლო ხელისუფლების, სასამართლოს, დიპლომატიური კორპუსის, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

გერმანული მოდელი სპეციალური პალატის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს, რომლის შემადგენლობაში ერთი პროფესიონალი მოსამართლე და ორი მსაჯული იქნება. პალატის წევრები საქართველოში მოქმედი ბიზნეს ასოციაციებისა და გაერთიანებების წარმომადგენლების მიერ დაკომპლექტდება. შერჩეული მსაჯულებისგან მსაჯულთა რეესტრი შეიქმნება, საიდანაც, კონკრეტული დავის განხილვისთვის კომერციულ პალატაში მსაჯულები წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე და ობიექტური პროცედურის საფუძველზე აირჩევიან.

ადვოკატთა ასოციაციაის წევრებმა სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით მოსაზრებები წარმოადგინეს

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ფარგლებში შექმნილი სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფში, რომელიც ევროკომისიის 12 პუნქტიანი რეკომენდაციის შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანას ისახავს მიზნად, შესაბამის უწყებებთან ერთად ჩართულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. ასოციაციის თავმჯდომარის - დავით ასათიანის ინიციატივით მომზადდა და სასამართლო რეფორმების სამუშაო ჯგუფს წარედგინა ადვოკატთა ასოციაციის მოსაზრებები სანდო, ხარისხიანი და გამჭვირვალე მართლმსაჯულების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით.

ადვოკატთა ასოციაციამ საანგარიშო საერთო კრება ჩაატარა

ადვოკატთა ასოციაციის საანგარიშო საერთო კრება 24 დეკემბერს წუთიერი დუმილით გაიხსნა. ასოციაციის წევრებმა პატივი მიაგეს აღმასრულებელი საბჭოს წევრის, გიორგი ტურაზაშვილის ხსოვნას.

საანგარიშო საერთო კრებაზე ასოციაციის თავმჯდომარემ, ეთიკის კომისიამ და სარევიზიო კომისიამ წევრებს საქმიანობის წლიური ანგარიში წარუდგინეს. ასევე, საერთო კრებაზე ადვოკატებმა განიხილეს მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის, საერთო კრებამ მხარი დაუჭირა აკადემიკოს მინდია უგრეხელიძისა და პროფესორ ოთარ გამყრელიძისთვის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახელობის ორდენის გადაცემას - იურიდიული პროფესიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

საერთო კრების ერთხმივი გადაწყვეტილებით ადვოკატ გიორგი ტურაზაშვილს მიენიჭა ადვოკატის ღირსების ორდენი, გარდაცვალების შემდეგ.

ადვოკატთა ასოციაცია საანგარიშო საერთო კრებას წელიწადში ერთხელ მართავს, სადაც ადვოკატები მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ერთობლივ გადაწყვეტილებას იღებენ და გაწეული საქმიანობის შედეგებს აჯამებენ.

ქალთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის სამუშაო შეხვედრა გაიმართა

ქალთა უფლებები - სასამართლო პრაქტიკა და ძირითადი გამოწვევები განიხილეს ქალთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის წევრებმა პრაქტიკოს იურისტებთან შეხვედრისას.

ღონისძიებაში ადვოკატთა ასოციაციის ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტის და მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტის წევრები, მოსამართლეები, იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები და პრაქტიკოსი იურისტები მონაწილეობდნენ. ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, კელი დეგნანმა.

შეხვედრაზე ისეთი თემები განიხილეს როგორებიცაა:

- სამართალწარმოების მონაწილეთა კომპეტენციის გავლენა სასამართლო პრაქტიკაზე;
- გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების შესახებ სამართალწარმოების მონაწილეთა ცნობიერების გავლენა სასამართლო პრაქტიკაზე;

ღონისძიება USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა.

ბენჩ-ბარი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამისა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench-Bar) სისხლის სამართლის თემატური სექციის რეგიონული სამუშაო შეხვედრა გაიმართა ბათუმში.

ბენჩ-ბარის ფარგლებში ადვოკატებმა მოსამართლეებმა და პროკურორებმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებულ გამოწვევებზე, მათ შორის მოწმე და დაზარალებულ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელეს და შემდომი განხილვის მიზნით კონკრეტული რეკომენდაციები შეიმუშავეს. ამასთან, შეხვედრის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება აჭარის რეგიონში არსებულ პრობლემატიკაზე გამახვილდა.

ბენჩ-ბარში მონაწილეობდნენ ადვოკატთა ასოციაციის აჭარის სისხლის სამართლის კომიტეტის წევრები, პროკურორები და მოსამართლეები სხვადასხვა რეგიონიდან. შეხვედრის მონაწილეებს ადვოკათა ასოციაციის თავმჯდომარე-დავით ასათიანი, გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი - გოჩა ფარულავა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები - ბაქარ ჯიქია და ირინა ხახუტაიშვილი მიესალმნენ.

ბენჩ-ბარი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამისა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench-Bar) სისხლის სამართლის თემატური სექციის რეგიონული სამუშაო შეხვედრა გაიმართა თელავში.

მრგვალი მაგიდის ფორმატში ადვოკატებმა მოსამართლეებმა და პროკურორებმა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე იმსჯელეს, გენდერული ნიშნით ჩადენილი საქმეების სამართალწარმოებისას არსებული პრობლემები განიხილეს და გადაჭრის გზებზე იმსჯელეს.

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭო (BENCH BAR) მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench Bar) მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

მრგვალი მაგიდის ფორმატში ადვოკატებმა და მოსამართლეებმა უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხებზე იმსჯელეს და ისეთი თემები განიხილეს, როგორებიცაა ერთგვაროვანი პრაქტიკა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს და სარჩელის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები.

სამუშაო შეხვედრა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ, თამარ ოქროპირიძემ და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ჩხეიძემ გახსნეს.

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench-Bar) მიზანია ხელი შეუწყოს იურიდიული პროფესიის გაძლიერებას, პროფესიათა შორიის ურთიერთპატივისცემას, ჯანსაღი კოლეგიალური დამოკიდებულებისა და საერთო ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას საქართველოში.

8 ნოემბერს ადვოკატთა ასოციაციის საიუბილეო კონფერენცია ჩატარდა

8 ნოემბერს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოს (COE) მხარდაჭერით, ადვოკატთა ასოციაციის საიუბილეო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენცია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს დაეთმო და მასში საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები მონაწილეობდნენ.

კონფერენციაზე მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ - დავით ასათიანმა, ევროპის საბჭოს მართლმსაჯულებისა და სამართლებრივი თანამშრომლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა - ფრედერიკ დოლტმა, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა - ნატალია ვუტოვამ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ - ნინო ქადაგიძემ, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა - რატი ბრეგაძემ და საქართველოს სახალხო დამცველმა - ნინო ლომჯარიამ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრობის კანდიდატების წარდგენა

საქართველოს ადვოკატთ ასოციაციამ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრობის კანდიდატები დაასახელა. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით ასოციაციის მიერ წარდგენილი კანდიდატები არიან: როინ მიგრიაული, სოფიო სოხაძე გიორგი ტურაზაშვილი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაცია უფლებამოსილია პარლამენტს წარუდგინოს 3 კანდიდატი. შესაბამისად, ასოციაციამ წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის მიზნით ღია კონკურსი 7 ოქტომბერს გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეობა ყველა იმ წევრს შეეძლო, რომლებიც კანონით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ.

შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმებისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევები საქართველოში - ამ თემაზე ადვოკატთა ასოციაციისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრა გაიმართა.
შეხვედრაში ადვოკატთა ასოციაციის ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტის, მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტის, სახალხო დამცველის აპარატის, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი ჭეხანმა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის წარმომადგენელმა, მარიამ ვარდოსანიძემ მიმართეს.

შეხვედრაზე მართლმსაჯულების სისტემასა და ადამიანის უფლებების მიმართულებით არსებულ პრობლემებზე იმსჯელეს და ერთობლივ, სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.
ორდღიანი შეხვედრა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა.

ამერიკელმა ადვოკატებმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარების სასწავლო კურსი ჩაატარეს

ადვოკატთა ასოციაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (Bureau of international Narcotics and Law Enforcement Affairs (INL), US State Department) თანამშრომლობის ფარგლებში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის ოთხდღიანი სიღრმისეული კურსი ჩატარდა თემაზე: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები. კურსს აშშ მაიამი-დეიდის ოლქის ადვოკატები უძღვებოდნენ.

სასწავლო კურსი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ დავით ასათიანმა და INL-ის დირექტორმა სარა რუპერტმა გახსნეს და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

უზენაეს სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესების დასკვნითი ღონისძიება ჩატარდა

უზენაეს სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესების დასკვნითი ღონისძიება ჩატარდა.
ღონისძიების მონაწილეებს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, კელი დეგნანმა, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა, გენერალურმა პროკურორმა, ირაკლი შოთაძემ და უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარემ, შალვა თადუმაძემ სიტყვით მიმართეს და პროცესებში მონაწილე გამარჯვებულ სტუდენტებს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს ნომინაციებში: საუკეთესო ადვოკატთა და პროკურორთა და გუნდები, საუკეთესო გამომსვლელი და საუკეთესო მოწმე.

იმიტირებული სასამართლო პროცესები პროექტი ,,გახდი ნაფიცი მსაჯულის“ კამპანიის ფარგლებში განხორციელდა და მასში ათამდე უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ.
პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართულები პრაქტიკოსი ადვოკატები, რომლებიც სტუდენტებს იმიტირებული პროცესისთვის რამდენიმე დღის განმავლობაში ამზადებდნენ.

დავით ასათიანი აზერბაიჯანის ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარესა და ადვოკატურის სხვა ხელმძღვანელებს შეხვდა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანი აზერბაიჯანის ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარეს, ანარ ბაგიროვსა და ადვოკატურის სხვა ხელმძღვანელებს შეხვდა.
შეხვედრაზე ორი ქვეყნის ადვოკატურებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და ერთობლივ, სამომავლო ღონისძიებებზე იმსჯელეს.

აზერბაიჯანის ადვოკატთა კოლეგიის ხელმძღვანელმა, ქართველ კოლეგებს აზერბაიჯანის ადვოკატურის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარესა და დელეგაციის წევრებს იურიდიული დახმარების სამსახურის ოფისი და ტრენინგ ცენტრები, ასევე, სხვადასხვა ღირსშესანიშნაობა დაათვალიერებინეს. დღის ბოლოს კი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაციისთვის საზეიმო მიღება გაიმართა.

ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენცია უზბეკეთში

ასოციაციის განვითარების პერსპექტივები და უზბეკეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება - ამ თემაზე საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა ტაშკენტში, რომელშიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაციაც მონაწილეობდა. კონფერენციას ადვოკატთა ასოციაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ მსოფლიოს 30 - ზე მეტი ქვეყნიდან.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვი მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა.

ქართული დელეგაციის წევრებმა ტარიელ კაკაბაძემ, მარიამ კუბლაშვილმა და ამირან გიგუაშვილმა უცხოელ კოლეგებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დანერგილი პრაქტიკის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია, კერძოდ, საკითხები შეეხო თანამედროვე ტექნოლოგიებს ასოციაციის საქმიანობაში და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე არსებულ პრაქტიკასა და მიღწევებს.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოსა და უზბეკეთის ადვოკატთა ასოციაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიც გაფორმდა.

რეგიონული კომიტეტების თავმჯდომარეებისა და თანათავმჯდომარეებისთვის სემინარი ჩატარდა

22-23 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შედგენის, შესაბამისი მინიტორინგის მექანიზმებისა და ანგარიშების შემუშავების მიზნით რეგიონებში მოქმედი თემატური კომიტეტების თავმჯდომარეებისა და თანათავმჯდომარეებისთვის სემინარი ჩატარდა.

სემინარი თეორიული და პრაქტიკული ნაწილისგან შედგებოდა და მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შედგენა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება.
ტრენინგი მოწვეულმა ტრენერმა, ანა კვერნაძემ ჩაატარა.
ორდღიანი სემინარი USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა.

კომიტეტების თავმჯდომარეებისა და თანათავმჯდომარეებისთვის სემინარი ჩატარდა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შედგენის, შესაბამისი მინიტორინგის მექანიზმებისა და ანგარიშების შემუშავების მიზნით კომიტეტების თავმჯდომარეებისა და თანათავმჯდომარეებისთვის ორდღიანი სემინარი ჩატარდა.
სემინრის ფარგლებში ტრენერმა მონაწილეებს ისეთი საკითხები გააცნო, როგორებიცაა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შედგენა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება.

ტრენინგი მოწვეულმა ტრენერმა, ანა კვერნაძე ჩაატარა.
ორდღიანი სემინარი USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა.

ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტების თავმჯდომარეებისა და თანათავმჯდომარეებისთვის ტრენინგი ჩატარდა

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა ფარგლებში ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტების თავმჯდომარეებისა და თანათავმჯდომარეებისთვის ტრენინგი ჩატარდა თემაზე „ფონდების მოძიება და საპროექტო წინადადებების შემუშავება“. ტრენინგის მონაწილეები იმ ძირითად საკითხებს გაეცნენ, რომლებიც პროექტების წერისა და ფონდების მოძიების მიმართულებით უნდა გაითვალისწინონ.

ტრენინგს მოწვეული ექსპერტი, ქეთევან გომელაური უძღვებოდა.

პროფესიული ადაპტაციის პროგრამის კურსდამთავრებულებმა ადვოკატის ფიცი დადეს

8 ნოემბერს, ადვოკატთა ასოციაციაში ახლად გაწევრიანებულ ადვოკატთა ფიცის დადების ოფიციალური ცერემონია გაიმართა. ადვოკატთა ასოციაციას კიდევ 180 წევრი ადვოკატი შეემატა. ცერემონიის ფარგლებში, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის კურსდამთავრებულებმა ადვოკატის ფიცი ოფიციალურად დადეს.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა ახალ წევრებს ადვოკატის პროფესიაში შესვლა მიულოცა და ფიცის დადების დამადასტურებელი სერთიფიკატები, სიმბოლურ საჩუქრებთან ერთად გადასცა.

ადვოკატთა ფიცის დადების ოფიციალურ ცერემონიას საფუძველი 2020 წელს ჩაეყარა. ღონისძიება ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით ჩატარდა.

დავით ასათიანი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ადვოკატის პროფესიის შესახებ ესაუბრა

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის საჯარო ლექცია ჩაატარა თემაზე "პროფესია ადვოკატი".

სტუდენტებმა შეხვედრაზე ეთიკის კომისიის საქმიანობის შესახებაც მიიღეს ინფორმაცია. ეთიკის კომისიის მუშაობის სპეციფიკა მათ კომისიის თავმჯდომარემ, კონსტანტინე გელაშვილმა გააცნო.
შეხვედრის ფარგლებში ადვოკატთა პროფესიული "ეთიკის კლინიკის" პრეზენტაციაც გაიმართა. "ეთიკის კლინიკა" ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო პროექტია, რომელშიც ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები პროფესიული ეთიკის სტანდარტებს ათი კვირის განმავლობაში გაეცნობიან.
ეთიკის კლინიკის პროექტი USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ხორციელდება.

საკვალიფიკაციო გამოცდები

ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების მორიგი 2 საგამოცდო სესია ჩაატარა. საგამოცდო სესიები ოქტომბერსა და დეკემბერში მიმდინარეობდა. გამოცდებში 660 პირი მონაწილეობდა და მათ შორის გამოცდა წარმატებით 222-მა მონაწილემ ჩააბარა.

საგანმანათლებლო აქტივობები

ბავშვთა უფლებებში სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსი დამატებით 286-ს ადვოკატს მიენიჭა, ხოლო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსი დამატებით 162-მა ადვოკატმა მიიღო.

საგანმანათლებლო აქტივობები - ტრენინგები

ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ლექტორებისთვის ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგიასა და სტანდარტიზირებული სილაბუსების შემუშავების საკითხებზე სიღრმისეული ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგში ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ლექტორების განახლებული შემადგენლობა მონაწილეობდა, რომელიც ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ გამოცხადებული საჯარო კონკურსის საფუძველზე შეირჩა. ტრენინგის შედეგად შემუშავდა 9 განახლებული სტანდარტიზებული სასწავლო მოდული, რომლითაც წარიმართა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-8 ნაკადის თეორიული კურსი.

ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი (მენტორი) ადვოკატებისთვის სიღრმისეული ტრენინგი ჩატარდა თემაზე: შედეგზე ორიენტირებული მენტორობის უნარ-ჩვევები, რომელიც თეორიულ ნაწილთან ერთად პრაქტიკულ სამუშაოებსაც მოიცავდა. გადამზადებული მენტორი ადვოკატები მომდევნო წლიდან ჩაატარებენ ტრენინგებს სხვა მენტორი ადვოკატებისთვის, რომლებიც მიიღებენ სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის სტატუსს.

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე "ეთიკის კლინიკის" სტუდენტებს შეხვდა

ეთიკის კლინიკის სტუდენტებს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარე შეხვდა. კონსტანტინე გელაშვილმა სტუდენტებს ადვოკატის პროფესიული ქცევის სტანდარტები გააცნო და ეთიკის კომისიის საქმიანობის სპეციფიკის შესახებ ესაუბრა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ეთიკის კლინიკის ფარგლებში სტუდენტებისთვის ადვოკატის პროფესიული ქცევის სტანდარტების შესახებ ცოდნის გავრცელებას კვლავ განაგრძობს და აქტიურად თანამშრომლობს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტთან.

პროფესიული ეთიკის კლინიკის სტუდენტებისთვის სასწავლო კურსი ჩატარდა

ათუმის ოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში შექმნილი პროფესიული ეთიკის კლინიკის სტუდენტებისთვის სასწავლო კურსი ჩატარდა. სასწავლო პროცესს ასოციაციის ეთიკის კომისიის აპარატის იურისტი, თამარ ხუბულური უძღვებოდა.

10 კვირიანი კურსის ფარგლებში სტუდენტები ადვოკატის პროფესიული ეთიკის საკითხებს გაცნენ, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახის დისკუსიებსა და იმიტირებულ პროცესებში. ასევე, სტუდენტები გაეცნენ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადების სპეციფიკას.

კურსის დასკვნით, ემაჯამებელ იმიტირებულ პროცესს ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - კონსტანტინე გელაშვილი და კომისიის წევრი - ეკატერინე მაჭარაშვილი დაესწრნენ და სასწავლო კურსი შეაჯამეს.

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კლინიკა ათუმის ოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობას მომდევნო სემესტრიდან კვლავ განაახლებს. პროექტი USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

ასოციაციის საჭადრაკო ნაკრებმა საქართველოს მე-3 კორპორატიული ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა

ჭადრაკის სასახლეში საქართველოს მე-3 კორპორატიული ჩემპიონატი ჩატარდა.
ჩემპიონატში სულ 16 გუნდი მონაწილეობდა, რომელთა შორის იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საჭადრაკო გუნდიც.

ადვოკატთა ასოციაციის სახელით ჩემპიონატში მონაწილეობდნენ: დავით ბაღდავაძე, გიორგი გორდულაძე, ანა მეძმარიაშვილი, უჩა ძიმისტარიშვილი, ინდირა წივწივაძე (სათად.)

ასოციაციის გუნდმა ტურნირში დამაჯერებლად იასპარეზა და მე-5 ადგილი მოიპოვა. ასევე, აღსანიშნავია, რომ გუნდის მონაწილემ, ადვოკატმა ანა მეძმარიაშვილმა ქალთა შორის 6.5 ქულით საუკეთესო შედეგი აჩვენა.

ადვოკატთა ასოციაციის საჭადრაკო გუნდი 2021 წელს შიდა ტურნირის საფუძველზე შეიქმნა და აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

სპორტული აქტივობები

ადვოკატთა ასოციაციის საფეხბურთო გუნდმა მასტერ ლიგების საერთაშორისო ჩემპიონატზე - "სოკას ჩემპიონთა ლიგაში" მიიღო მონაწილეობა, რომელიც სლოვენიაში ჩატარდა.

"სოკას ჩემპიონთა ლიგა" მასტერ ლიგების ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საფეხბურთო ჩემპიონატია, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ დონეზე შერჩეული მასტერ ლიგების გუნდთა მცირე რაოდენობა მონაწილეობს. ასოციაციის გუნდის შერჩევაც თბილისის "მასტერ ლიგაში" წარმატებული მონაწილეობის შედეგად მოხდა.